

ხელშეკრულება №01/14/
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე)

ქ. თბილისი

, 2018 წელი

სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი შესყიდვების სამსახურის უფროსის ვახტანგ შავგულიძის სახით და _____, შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი დირექტორის _____ სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4 „შემსყიდველი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5 „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.6 „სამუშაო“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული საგანი.
- 1.7 „ინსპექტირება“ – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.
- 1.8 „ექსპერტი“- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო ან სხვა აკრედიტებული საექსპერტო ორგანიზაცია.
- 1.9 „ჩარიცხული თანხა“- მიმწოდებლის რეკვიზიტზე ჩარიცხული თანხა.
- 1.10 „საბანკო გარანტია“- საქართველოში მოქმედი საბანკო ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საავანსო გარანტია.

2. ხელშეკრულების საგანი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების - „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა“ და „სმართ ლოჯიქის“ სათავე ოფისის წყალმომარაგება, კანალიზაცია, სანიტარული არხებისა და გათბობა, გაგრილება, ვენტილაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა. (CPV-45300000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ----- ლარს.
- 3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, დღგ-ს ჩათვლით.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

- ა) უზრუნველყოს სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოს ჯეროვნად შესრულება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 13 კალენდარული თვის განმავლობაში, მის მიერ წარმოდგენილი კალენდარული გეგმა - გრაფიკით განსაზღვრული ეტაპების შესაბამისად, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
- ბ) წარუდგინოს შემსყიდველს კალენდარული გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული ეტაპის შესაბამისი სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი ფორმა N2 ყოველი თვის (ეტაპის) დასრულებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა, ხოლო შესაბამისი ექსპერტის დასკვნა ფორმა N2-ის შემსყიდველისთვის წარდგენიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა.
- გ) შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტები (ფორმა N2) ერთდროულად (ერთი კალენდარული დღე) წარუდგინოს შემსყიდველს და სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს ან სხვა აკრედიტებულ (წამოდგენილი უნდა იქნას აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტი) საექსპერტო ორგანიზაციას. მიმწოდებელს არ დაეკისრება პირგასამტეხლო თუ აღნიშნული ქვემოთხედილი დაარღვია, მაგრამ წარმოდგენილი ფორმა N2-ით გათვალისწინებული ყველა სამუშაოს შესრულების ვადა კალენდარული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად არ არის ამოწურული.
- დ) ფარული სამუშაოების წარმოების შემთხვევაში შეადგინოს ფარული სამუშაოების დამადასტურებელი წერილობითი აქტები, ამასთან ფარული სამუშაოები წარმოებულ უნდა იქნეს შემსყიდველის მიერ განსაზღვრული ინსპექტირების წევრ(ებ)თან ერთად.
- ე) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს სამშენებლო ადგილის შემოსაზღვრა და დამცავი გამაფრთხილებელი ნიშნების დაყენება. სამშენებლო მოედანზე დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების წესები. სამუშაოების წარმოება განახორციელოს „ შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დადგენილი წესით.
- ვ) იმ შემთხვევაში, როდესაც შემსყიდველთან შეთანხმებული სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკი დარღვეულია უწყვეტად, ორი კვირის მანძილზე, ან შემსყიდველის მოთხოვნის მიუხედავად, პროექტის ხელმძღვანელი არ ცხადდება სამშენებლო მოედანზე უწყვეტად 2 კალენდარული დღის მანძილზე, შემსყიდველს უფლება აქვს მოსთხოვოს მიმწოდებელს პროექტის ხელმძღვანელის შეცვლა, რაც უნდა განხორციელდეს 3 სამუშაო დღეში.
- ზ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს სამშენებლო და სამუშაო ფართის დასუფთავება, ნარჩენების, სამშენებლო ნაგვის მოგროვება და ტერიტორიიდან გატანა;
- თ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს სამშენებლო პროცესში მოხმარებულ ენერგორესურსებსა და წყალზე კომუნალური გადასახადების გადახდა.
- ი) ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 10 სამუშაო დღის ვადაში სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს“ წარუდგინოს ხელშეკრულების ღირებულების არაუმეტეს 25% ოდენობის შესაბამისი საავანსო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ ორი თვით უნდა აღემატებოდეს სამშენებლო სამუშაოების დასრულების ვადას.
- კ) სამუშაოს მასშტაბის შესაბამისად სამუშაოს შესრულება უზრუნველყოს შესაბამისი რაოდენობის, სანდო, სათანადო უნარ/ჩვევების მქონე პერსონალით.
- ლ) სამუშაოების შესრულებაში მონაწილე საინჟინრო-ტექნიკური პერსონალისა და მუშა-მოსამსახურეების შემადგენლობის არანაკლებ 70% დააკომპლექტოს საქართველოს მოქალაქეებით.
- მ) სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე ტერიტორიაზე გადაამოწმოს საპროექტო ნიშნულები, ასევე სამშენებლო მოედანზე გადაამოწმოს საპროექტო ნახაზებში მითითებული ზომები და ნებისმიერი უზუსტობა აცნობოს შემსყიდველს.
- ნ) სამუშაოს შესრულების პროცესში უზრუნველყოს ხარისხისა და სამუშაოების მიმდინარეობის ზედამხედველობისა და კონტროლის განმახორციელებელ პირთა მიერ გაცემული, როგორც ზეპირი

ასევე წერილობითი რეკომენდაციების და მითითებების შესრულება. მიმწოდებელი ვალდებული სამშენებლო სამუშაოებზე ზედამხედველი პირ(ებ)ის მიერ მითითებული თანმიმდევრობით აწარმოოს სამშენებლო პროცესი. სამუშაოების წარმოების პროცესში თუ მიმწოდებელმა დააზიანა შემსყიდველი ორგანიზაციის სხვა მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაო იგი ვალდებულია გამოასწოროს ხარვეზი გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუმეტეს ხუთი სამუშაო დღისა. თავისი ხარჯებით, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დანახარჯის გაწევის გარეშე.

ო) სამუშაოს შესრულების პროცესში, უზრუნველყოს ყველა ტექნიკური აღჭურვილობის და ინსტრუმენტის ექსპლუატაცია მწარმოებლის მიერ განსაზღვრული წესით. ტექნიკური აღჭურვილობის და ინსტრუმენტის ექსპლუატაციისას დაუშვებელია არაქარხნული (კუსტარული) წესით დამზადებული დეტალის ან/და სათადარიგო ნაწილის გამოყენება.

პ) ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში წინასწარი ანგარიშსწორების შედეგად მიღებული თანხები გამოიყენოს მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად.

ჟ) ხელშეკრულების 4.1 პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, აღნიშნულის შედეგად წარმოშობილ ზიანზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

რ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოების მოცულობების დაადგენა ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული საექსპერტო ორგანიზაციის მიერ მომზადებული შესაბამისი საექსპერტო დასკვნით.

ს) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

ტ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება.

4.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ წარუდგინოს შემსყიდველს ხელშეკრულებით განსაზღვრული კალენდარული გეგმა-გრაფიკისგან განსხვავებული კალენდარული გეგმა-გრაფიკი, თითოეული ეტაპის ცვლილების მიზეზების მითითებით. შემსყიდველი ვალდებულია განიხილოს წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიაწოდოს მიმწოდებელს კალენდარულ გეგმა-გრაფიკის ცვლილებაზე თანხმობა ან დასაბუთებული უარი.

ბ) ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, სააგენტოს თანხმობის შემდეგ, სამუშაოები შეასრულოს ქვეკონტრაქტორის მეშვეობით. შემსყიდველი ვალდებულია განიხილოს წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასცეს თანხმობა ან დასაბუთებული უარი.

4.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. გარანტია

5.1. მიმწოდებელი მიერ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ და საერთაშორისო სტანდარტებსა და ნორმებს.

5.2. მიმწოდებლის მიერ მოწოდებულ მანქანა/დანადგარებზე და შესრულებულ სამუშაოებზე უნდა ვრცელდებოდეს არანაკლებ 5 წლიანი გარანტია.

5.3 საგარანტიო პერიოდის განმავლობაში, ექსპლუატაციის პირობების დაცვის პირობებში, დეფექტის ან ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გამოვლენილი დეფექტი

გამოასწოროს შემსყიდველთან შეთანხმებულ გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა, თავისი ხარჯებით, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დანახარჯის გაწევის გარეშე. შემსყიდველი ორგანიზაციის თანხმობის შემთხვევაში შესაძლებელია გამოვლენილი დეფექტის გამოსასწორებლად განისაზღვრულის ვადის გაზრდა.

5.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 5.3 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილი დეფექტები და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების სრულად ანაზღაურება

6. ინსპექტირება

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.

6.2 ინსპექტირებას განხორციელებს შემსყიდველის თანამშრომელ(ებ)ი ან/და სხვა უფლებამოსილი პირი.

6.3 შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

6.4 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნი, მიმწოდებელი ვალდებულია მოახდინოს რეაგირება და გამოასწოროს წუნი გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 20 დღისა.

7. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

შესრულებული სამუშაოს ყოველი ნაწილის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის/წარმომადგენლების ხელის მოწერით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფორმა N2-ისა და ექსპერტის დასკვნის საფუძველზე.

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღლო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2. ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“ ავანსის სახით მიმწოდებელს ჩაურიცხავს ხელშეკრულების ღირებულების %-ს შესაბამისი საავანსო გარანტიის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

8.3. ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ (ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში, წინასწარ გადახდილი თანხის ამოწურვამდე) სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“ განხორციელებს შესრულებული სამუშაოების ღირებულების არანაკლებ %-ის დაქვითვას ავანსად გადახდილი თანხის გათავისუფლების მიზნით, ხოლო მიმწოდებლისთვის შესრულებული სამუშაოების ღირებულებასა და დაქვითული თანხას შორის სხვაობის ანგარიშსწორებას შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა.

8.4. ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში, წინასწარ გადახდილი თანხის გათავისუფლება განხორციელდება ეტაპობრივად, ყოველ ეტაპზე მიღებული სამუშაოს არანაკლებ %-ის ოდენობით, იმ პირობით, რომ თეთრ სიაში რეგისტრირებული მომხმარებლისთვის ჯერ გაიქვითება წინასწარ გადახდილი თანხის ის ნაწილი, რომელზედაც არ არის წარმოდგენილი საბანკო გარანტია.

8.5. ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში, წინასწარ გადახდილი თანხის გაქვითვის შემდეგ ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს მიხედვით, შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში შემსყიდველი მიმწოდებელს გადაუხდის მიღებული სამუშაოს ღირებულებასა და მიმწოდებლისთვის გადახდილ თანხებს შორის სხვაობას.

8.6. შემსყიდველი ორგანიზაცია ყოველი ანგარიშსწორებისას განახორციელებს მიმწოდებლის მიმართ დაკისრებული პირგასამტეხლოს დაქვითვას, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმდებარე მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. იმ შემთხვევაში, როდესაც შემსყიდველთან შეთანხმებული სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკი დარღვეულია უწყვეტად, 20 დღის მანძილზე, ან შემსყიდველის მოთხოვნის მიუხედავად, პროექტის ხელმძღვანელი არ ცხადდება სამშენებლო მოდენაზე უწყვეტად 2 კალენდარული დღის მანძილზე შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია ცალმხრივად ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი არ გამოიყენებს წინამდებარე ხელშეკრულების 10.1 პუნქტით მინიჭებულ უფლებამოსილებას მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოს ღირებულების 0.05%-ის ოდენობით.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „გ“, „ე“, „ვ“, „ზ“, „თ“, „ნ“ და „ო“, ქვეპუნქტებით განსაზღვრული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.001%-ის ოდენობით.

10.4. წინამდებარე ხელშეკრულების 5.3 და 6.4 პუნქტებით განსაზღვრული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.002 % -ის ოდენობით.

10.5. მიმწოდებელს არ დაეკისრება პირგასამტეხლო იმ ნაწილში რა ნაწილშიც მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების - „საჯარო რეესტრის

ეროვნული სააგენტოსა“ და „სმართ ლოჯიკის“ სათავო ოფისის მშენებლობაში მონაწილე სხვა კონტრაქტორ(ებ)ის მიერ ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებით და შესაბამისი ვადით გაიზრდება ეტაპ(ებ)ით გათვალისწინებული შესასრულებელი სამუშაოების მიწოდების ვადა, ხოლო იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს სათავო ოფისის მშენებლობაში მონაწილე სხვა კონტრაქტორ(ებ)ის მიერ ნაკისრი ვალდებულების ნაწილობრივ ან/და სრულ შეუსრულებლობას ხელშეკრულების 10.2 და 10.3 პუნქტებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციის ოდენობა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაორმაგდება, მაგრამ განისაზღვრება არანაკლებ 400 ლარით.

10.6. წინამდებარე ხელშეკრულების 8.2, 8.3 და 8.5 პუნქტებით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,05%-ის ოდენობით.

10.7. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულებას და მიმწოდებელს დააკისრებს პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ის ოდენობით.

10.8. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის და საავანსო გარანტიები

14.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების ღირებულების %-იანი უპირობო საბანკო გარანტია სრულად გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების გამო.

14.2 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების ღირებულების %-იანი უპირობო საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის განსაზღვრული სამშენებლო სამუშაოების დასრულების ვადას მინიმუმ ერთი წლით.

14.3 ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საავანსო საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სამშენებლო სამუშაოების დასრულების ვადას მინიმუმ ორი თვით.

14.4 ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საავანსო საბანკო გარანტია, შემსყიდველის მიერ გამოყენებულ იქნება იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს შემსყიდველის მიერ ავანსად გადახდილი თანხის შესაბამისი ღირებულების სამუშაოს შესრულებას, საავანსო საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გასვლამდე.

14.5 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი უზრუნველყოფს ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებას ან ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით, შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე უზრუნველყოს გარანტიის დაბრუნება.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს ----- ჩათვლით.

16. ფორს-მაჟორი

16.1. ინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

16.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაუალაზრებელი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

17. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი – შემსყიდველს.

18. რეკვიზიტები

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,
წარმოდგენილი შესყიდვების სამსახურის
უფროსის ვახტანგ შავგულიძის სახით,
მისამართი: თბილისი, სანაპიროს №2
ტელეფონი: 291-05-17,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ: ხაზინის ერთიანი
ანგარიში GE24NB0330100200165022
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
სახაზინო კოდი: 707427078
ს/კ - 202238621
